ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №8

24 თებერვალი 2026 წელი

13:30 საათი

მ/წ 24 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიისა და სანტრასპორტო საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ბექა მიქაუტაძე;
2. შალვა ოგბაიძე;
3. შალვა მაისურაძე;
4. ოთარ ჩრდილელი;
5. არჩილ ნიჟარაძე;
6. მიხეილ რეხვიაშვილი;
7. ქეთევან ჭავჭანიძე;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბექა მიქაუტაძე და სანტრასპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ოგბაიძე. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

საკითხის წარმომდგენმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. წარმოადგინა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილების პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტის მიმწოდებელი უნდა უზრუნველყოფდეს მედიკამენტ „ფინგოლიმოდის" (1 კოლოფი/28 კაფსულა) – არაუმეტეს 1846 ლარის ტარიფით მიწოდებას.

წარმოდგენილი პროექტის მიზანია, მედიკამენტ „ფინგოლიმოდის" ფასის შემცირება და იმ ოდენობის განსაზღვრა, რომლითაც განხორციელდება მისი მიწოდება 2026 წლის პირველი მარტიდან.

პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი N7) მე-9 მუხლში, რომელიც მიმწოდებლებს უდგენს ქვეპროგრამაში მონაწილეობის დამატებით პირობებს. კერძოდ, წესის მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით, დადგენილია ტარიფები, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოხდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების მიწოდება. მათ შორის არის მედიკამენტი „ფინგოლიმოდი" (1 კოლოფი/28 კაფსულა), რომლის მიწოდებასაც, წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მიმწოდებლი უნდა ახდენდეს – არაუმეტეს 1846 ლარის ტარიფით, თუმცა აღნიშნული

მედიკამენტის ფასი შემცირდა და უკვე შესაძლებელი გახდება მისი 1500 ლარის ტარიფით მიწოდებაც, 2026 წლის პირველი მარტიდან. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება აისახება წესში და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად - ქვეპროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტის მიმწოდებელი უნდა უზრუნველყოფდეს ქვეპროგრამის ფარგლებში, ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტების „ოკრელიზუმაბი“ 600 მგ (1 ფლაკონი) – არაუმეტეს 5300 ლარის, „ოკრელიზუმაბი“ 920 მგ (1 ფლაკონი) არაუმეტეს 10 600 ლარის; „ფინგოლიმოდი“ (1 კოლოფი/28 კაფსულა) – არაუმეტეს 1500 ლარის ტარიფით მიწოდებას.

აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი. (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 0 წინააღმდეგი - 0).

აქვე, საკითხის წარმომდგენმა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგინა.

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-17 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №2) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქვეპროგრამის მოსარგებლეები ასევე არიან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

დადგენილების პროექტის ცვლილების მიზანია, დევნილის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირებისათვის დაზუსტდეს განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი. ასევე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების ჩარიცხვის პროცედურის უფრო დეტალურად გაწერა, იმ 100 წლის და მეტი ასაკის პირებზე, რომლებსაც ერთხელ უკვე პირად საბანკო ანგარიშზე დაერიცხათ ფულადი დახმარება ან განესაზღრათ კუთვნილება.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-2 და მე-3 მუხლებში. კერძოდ, მე-2 მუხლის პირველი პუნქტში ზუსტდება, თუ რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ დევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეები ქვეპროგრამაში ჩასართავად. შესაბამისად, მოსარგებლეთა ცნება ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე 100 წლის და მეტი ასაკის პირები, რომლებსაც ამ 1 (ერთი) წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს, რაც გულისხმობს იმას, რომ დევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეთა ქვეპროგრამაში ჩართვისთვისაც საჭიროა 1 წლის განმავლობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, უწყვეტი რეგისტრაციის ფაქტის დადასტურება.

მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების დაზუსტებამ, განაპირობა წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტის ცვლილებაც, რომლითაც დაზუსტდება იმ დოკუმენტის გამცემი ორგანოსა და ასევე თავად დოკუმენტის დასახელება, რომლითაც დადასტურდება 100 წლის და მეტი ასაკის, დევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეთა 1 წილიანი უწყვეტი რეგისტრაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. შედეგად, წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატება ჩანაწერი რომ დევნილის სტატუსის მქონე განმცხადებელთა შემთხვევაში, განცხადებას, მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლთან ერთად, უნდა ერთოდეს იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, მისამართზე რეგისტრაციის შესახებ.

ცვლილება შედის წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტშიც, სამსახურის პრაქტიკის გათვალისწინებით, პუნქტი განსხვავებულად ყალიბდება და ასევე, ზუსტდება იმ პირთათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების გადაცემის პროცედურა,რომელთაც საბანკო ანგარიშზე ერთხელ უკვე დაერიცხათ ფულადი დახმარება ან განესაზღრათ კუთვნილება. კერძოდ, პირები, რომლებიც „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე აკმაყოფილებდნენ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებს და 2025 წელს, მომსახურე ბანკში, პირად საბანკო ანგარიშზე დაერიცხათ ფულადი დახმარება ან განესაზღრათ კუთვნილება, ამასთან, 2026 წლის 20 იანვრის მდგომარეობით წარმოადგენენ 100 წლის და მეტი ასაკის პირებს, თანხას მიიღებენ აქტიურ საბანკო ანგარიშზე.

აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი. (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 0 წინააღმდეგი - 0).

გაერთიანებული კომისიების სხდომაზე ასევე ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული

ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-81 დადგენილების საფუძველზე, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირთა შესახებ ინფორმაცია მოისმინეს და ცნობად მიიღეს. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, წლის განმავლობაში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით, დედაქალაქის 654 ათასზე მეტი მცხოვრები სარგებლობს (31 კატეგორია).

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზექა მიქაუტაძე